**დასკვნითი გამოცდის საკითხები საგანში: საქართველოს ადმინისტრაციული სამართლის პროცესი**

**შემოდგომის სემესტრი, 2014-2015 სასწავლო წელი**

**საგნის ხელმძღვანელი: პროფ. მაია კოპალეიშვილი**

**გამოყოფილი დრო 3 სთ**

***გამოცდა ჩატარდება შერეული ფორმით,***

***ერთი თეორიული საკითხი და ერთი კაზუსის ამოხსნა.***

***სტუდენტი ვალდებულია სამი საკითხიდან საკუთარი არჩევანით***

***დაწეროს რომელიმე ერთი საკითხი.***

***თითოეული (საკითხი, კაზუსი) შეფასდება 15-15 ქულის ფარგლებში.***

1. ადმინისტრაციული პროცესის პრინციპები.
   ა. დისპოზიციურობის პრინციპი.
   ბ. შეჯიბრებითობის პრინციპი.
   გ. კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი.
   დ. ინკვიზიციურობის პრინციპი
   ე. მოსამართლის მიერ პროცესის წარმართვის პრინციპი.
   ვ. სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.
   ზ. ადმინისტრაციული პროცესის ზეპირობისა და უშუალობის პრინციპი.
   თ. ადმინისტრაციული პროცესის საქვეყნოობის პრინციპი.
2. ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა უწყებრივი ქვემდებარეობა და განსჯადობა. შესავალი, უწყებრივი ქვემდებარეობა.
3. სახელისუფლებო აქტი.
4. დავა სახელმწიფო დაწესებულებებს შორის
5. გადაწყვეტილების კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გამიჯვნა.
6. ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც სარჩელის დასაშვებობის წინაპირობა.
7. შუალედური აქტი.
8. დაინტერესებული მხარის ცნების არსი.

9. განსჯადობა. ტერიტორიული განსჯადობა, ინსტანციური განსჯადობა, საგნობრივი განსჯადობა.
10. საჯარო და კერძო სამართლის გამიჯვნის თეორიები (ინტერესთა თეორია, სუბორდინაციის თეორია, სუბიექტების თეორია).
11. ადმინისტრაციული ხელშეკრულების გამიჯვნა კერძო სამართლებრივი ხელშეკრულებებისაგან.
12. რეალაქტთან დაკავშირებული განსჯადობა.
13. სასამართლოს როლი განსჯადობის საკითხის გადაწყვეტაში.
14. საპროცესო ვადები. პროცესის ხარჯები. სასამართლო შეტყობინება და დაბარება.
15. მხარეები ადმინისტრაციულ პროცესში. მოსარჩელე და მოპასუხე. მხარეთა საპროცესო უფლებები და მოვალეობები. წარმომადგენელი ადმინისტრაციულ პროცესში. მესამე პირები ადმინისტაციულ პროცესში, მათი პროცესში ჩაბმის თავისებურება. სასამართლო მტკიცებულებები.
16. სარჩელის ტრანსფორმაცია. გამარტივებული და დაჩქარებული ადმინისტრციული სამართალწარმოება და მათი მიზანი.
17. ადმინისტრაციული დავის საგანი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის I-VI თავები, მუხლები: 25(1)-28(1).
18. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე. მისი აღძვრის წინაპირობები. დასაშვებობა და დასაბუთებულობა. სასამართლოს გადაწყვეტილება ამ სახის სარჩელთან დაკავშირებით. კავშირი სარჩელთა სხვა სახეებთან. შეგებებული სარჩელის დაუშვებლობა. ადმნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად და ძალადაკარგულად გამოცხადების მატერიალურსამართლებრივი საფუძვლები.
19. გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება (სუსპენზიური ეფექტი), მისი არსი და თავისებურებანი;
20. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება, თავისებურებანი. განჩინების გასჩივრების წესი.
21. პრევენციული დაცვის საშუალებების გამოყენება ადმინისტრაციულ პროცესში, მიჯნა სამოქალაქო საპროცესო სამართლით გათვალისწინებულ სარჩელის უზრუნველყოფის საშუალებებთან; დაცვის ამ საშუალებებთან მიმართებით სასამართლოს განჩინების გასაჩივრების წესი.
22. სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე, სარჩელის თავისებურება. სარჩელის წარდგენის ვადა, სარჩელის დასაშვებობა, დასაბუთებულობა. სასამართლოს გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების დასაბუთებულობა. თავისებურებანი. კავშირი სარჩელთა სხვა სახეებთან.

23. დროებითი განჩინება და სადავო სამართლებრივი ურთიერთობა.

24. სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე, სარჩელის თავისებურება, ადმინისტრაციულ ორგანოთა რეალური მოქმედებები (რეალაქტი). სარჩელის აღძვრის წინაპირობები, დასაშვებობა და დასაბუთებულობა. სასამართლოს გადაწყვეტილება ამ სახის სარჩელთან დაკავშირებით;

25. აღიარებითი სარჩელი ადმინისტრაციულ პროცესში, მისი თავისებურებანი. სარჩელის დავის საგანი. არარა აქტი, როგორც აღიარებითი სარჩელის დავის საგანი. სარჩელის დასაშვებობა და დასაბუთება. ფარგლები ადმინისტრაციულ და სამოქალაქო აღიარებით სარჩელთა სახეებს შორის. აღიარებითი სარჩელთა სახეების თავისებურებანი ადმინისტრაციულ პროცესში. სასამართლოს გადაწყვეტილება.

26. განმწესრიგებელი სხდომის არსი, თავისებურება.

27. სახელშეკრულებო დავები. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული კერძო სამართლებრივი ხელშეკრულება და მისგან გამომდინარე დავის განხილვის თავისებურება.

28. სააპელაციო და საკასაციო საჩივრის დასაშვებობა ადმინისტრაციულ პროცესში.

29. საიდუმლო ინფორმაციის განხილვის წესი. საქმის განხილვა დახურულ სასამართლო სხდომაზე. საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის თავისებურება.